# 1 მარტი

დიდმ. ჟ. I კვირა [I] ი

## 2012 ხუთშაბათი

ესტ. 4,17n.p-r.aa-bb.gg-hh; ფს 137; მთ 7,7-12

## ვინც ითხოვს, ღებულობს მთ 7,8

ზოგჯერ ვამბობთ: „მე ცუდი ვარ, ღმერთს არ შეუძლია ჩემი მოსმენა“. ეს სიტყვები არ ეთანხმება სახარებას. მამის გული ყოველთვის რჩება მამის გულად, მაშინაც როცა მისგან შორს ვარ... იგი მუდამ ყურადღებით მომაპყრობს ყურს, უფრო მეტად მაშინ, როცა შორიდან სწვდება მას ჩემი ხმა, მის გულმოწყალებას რომ მოუხმობს.

2 მარტი

დიდმ. ჟ. I კვირა [I] ი

2012 პარასკევი

ეზ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

# თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება მწიგნობართა სიმართლეს მთ 5,20

ფარისევლები გულმოდგინედ იცავდნენ კანონს: ამ საქმეში მათი მჯობი არავინ იყო. მაგრამ ის რაზეც საუბრობს იესო სულ სხვა ‚სიმართლეა‘: რომელიც ‚სძლევს, აღემატება‘ მცნებას და სიყვარულით ემორჩილება ღმრთის სიყვარულს. მცნება ამბობს არა კლა, მაგრამ მამა მომიწოდებს სიყვარულისკენ, ჩემი მოყვასისა და მტერისათვის მიტევებისკენ. მცნება მიმითითებს თავი შევიკავო პარასკევს ხორცისაგან, მამის სიყვარული კი მიბიძგებს საკუთარი ლუკმის მშივრებთან გაზიარებისაკენ.

# 3 მარტი

დიდმ. ქ. I კვირა [I] ი

(22.II) წმ. ცხრანი ყრმანი
კოლაელნი, წამებულნი (VIს.)

2012 შაბათი

რჯლ. 26,16-19; ფს ლ 118; მთ 5,43-48

დედის დღე

## დალოცეთ თქვენი მაწყევრები მთ 5,44

არასოდეს გიცდია ლოცვა იმ ნათესავის, მეზობლის ან თანამშრომლისათვის, რომელსაც შენთვის რაიმე ცუდი აქვს გაკეთებული? სცადე დღეს, ახლავე. თუ არ შეგიძლია, უთხარი მამას: „შენ, რომელსაც ასე ძლიერ გიყვარვარ, აკურთხე ის ადამიანი, რათა გავიზარდო შენს სიყვარულში!“ ხვალაც სცადე. ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება და შენ აღმოჩნდები დახსნილი, თავისუფალი გულით და განიცდი იმის სიხარულს რომ ხარ... ღმერთის მსგავსი!

# 4 მარტი

დიდმარხვის II კვირადღე «ბ» [II] ი

2012 კვირა

დაბ22,1-2.9.10-13.15-18; ფს115; რომ8,31-34; მარ9,2-10

## გაბრწყინდა მისი სამოსელი მარ 9,3

ამ დიდმარხვის პერიოდში იესოს ‚მთაზე‘ მივყავართ: უფრო ახლოს ვიქნებით შენთან, და შორს შეწუხებებისა და პრობლემებისაგან; შეგხედავთ, მოგისმენთ, შენთან ერთად მივიღებთ მამის ნებას და ჩვენი ‚ტანისამოსი‘, ჩვენი ცხოვრება გაბრწყინდება შენი დიდებით, შენი ნათელით: შენთან ერთად იქცევა ‚აღმდგარ ცხოვრებად‘!

# 5 მარტი

დიდმ. ყ. II კვირა [II] ი

2012 ოთხშაბათი

დაბ 9,4-10; ფს 78; ლკ 6,36-38

## მიუტევეთ და მოგეტევებათ ლკ 6,37

რა არის იმაზე უკეთესი მომზადება აღდგომისათვის, თუ არა ის, როცა ვცდილობ გავაძევო გულიდან წყენა, სიძულვილი, გაბუტვა, გულს რომ მიკეტავს? აღდგომის ზეიმი ნიშნავს იესოს სიკვდილზე, ცოდვაზე გამარჯვების ზეიმს. როგორაა შესაძლებელი იესო მკვდრეთით აღსდგეს ჩემში თუკი ხელს ვუშლი მას, მომიტევოს?

იესოს სისხლო, შენშია ძალა მიტევებისა და გამოხსნისა, გადმოდი ჩემზე და განმაახლე!

# 6 მარტი

დიდმ. ჟ. II კვირა [II] ი

2012 სამშაბათი

ეს 1,10.16-20; ფს 49; მთ 23,1-12

## თქვენ ყველანი ძმები ხართ მთ 23,8

ეს სიტყვა მეხმარება სწორედ დავინახო ჩემი ადგილი ყველას შორის და შევხედო სხვებს სწორად. მეხმარება, რათა სიმორცხვე და მორიდებულობა არ ვიგრძნო იმის წინაშე, ვინც ჩემზე მაღლა დგას: მასაც იგივე ჩემი უფალი ჰყავს უფლად, მეც ვუყვარვარ მამას ისევე, როგორც ის. მეხმარება თავი არ ვიგრძნო მაღლა: თუკი მივიღე დავალება, მივიღე იმისათვის, რომ ვემსახურო პატარებს. მაშინ კი, როცა სხვებზე მაღლა ვგრძნობ თავს... უნდა დავინახო, რომ ჩამოსვლის დროა!

# 7 მარტი

დიდმ. ყ. II კვირა [II] ი

მოხს.: წმ. პერპეტუა და ფელიციტა,
წამებულნი † 202/203(მ)

2012 ოთხშაბათი

იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

## ჩემს სასმისს შესვამთ მთ 20,23

ესაა იესოს დანაპირები, რამაც, შესაძლოა შიში მოგგვაროს. ვფიქრობ მათზე, ვინც სამედიცინო ანალიზების პასუხის მოლოდინშია, ან ვინც უკვე მკურნალობს და არ იციან, რა შედეგით...

უფალო, იესო, დღეს მსურს ვილოცო ამ ძმებისათვის: ქმენ, რათა შეიგრძნონ შენი სიყვარული, რომელიც სიცოცხლესა და სიკვდილზე ძლიერია, რომელიც სწორედ ტკივილის დროსაა უფრო ძლიერი; მიმადლე მათ შეისმინონ შენი ნუგეშისმც ემელი და დამაიმედებელი ხმა: „გამხნევდი, ნუ გეშინია, არა ხარ მარტო, ჩემი ბარძიმიდან სვამ ჩემთან ერთად“.

8 მარტი

დიდმ. ყ. II კვირა [II] ი

მოხს.: წმ. იოანე ღმრთისა, ბერი †1550

2012 ხუთშაბათი

იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

ქალთა საერთაშორისო დღე

# მათ ჰყავთ მოსე და წინასწარ-მეტყველნი, მათ უსმინონ ლკ 16,29

ხშირად გვაქვს ცდუნება, მიგვაჩნდეს რომ რაიმე არაჩვეულებრივი ნიშნანია საჭირო ჩვენი და ჩვენს გვერდით მყოფთა მოქცევისათვის. უფალი უკვე დაგველაპარაკა და დღესაც გველაპარაკება თავის ეკლესიაში; რწმენის და მისი სიტყვისადმი მორჩილების სირთულე: აი, ზეცისკენ სავალი გზა!

იესო, დღეს მსურს გისმინო!

9

მარტი

დიდმ. ყ. II კვირა [II] ი

მოხს.: წმ. ფრანცისკა რომაელი, მონაზონი, †1440

2012

პარასკევი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45

## კიდევ გაუგზავნა სხვა მონები მთ 21,36

დღეს ჩვენ, იესოსთან შეერთებული ეკლესია, ვართ ის ‚ვაზი‘, რომელზეც მამა ზრუნავს: მისი სიყვარულის მოქმედების შედეგია, რომ ჩვენ გამოვიღებთ სიყვარულის ახალ ნაყოფს და როცა იგი გამოგზავნის თავის მსახურებს — ცხოვრებისეულ გარემოებებს, შთაგონებებს, ძმათა სიტყვებს — რათა მოიწიოს ეს ნაყოფი, ჩვენ მათ სიხარულით მივუძღვნით მას: ეს მისი წყალობით და მისთვისაა ჩვენი მდაბალი ცხოვრება!

# 10 ႫႠႰႲႨ

დიდმ. ყ. II კვირა [II] ი

## 2012 ႸႠႡႠႧႨ

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

## შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ ლკ 15,31

დიახ, მამაო, ეს ყველაზე მშვენიერი ნიჭია, რომელიც შემიძლია მივიღო შენგან!
როცა მივუტევებ ჩემს ძმას, როცა ჩემს გულში მშვიდობა და ნდობაა, როცა ჩემს ცხოვრებას, ჩემს დროს, ჩემს უნარებს, რითაც შენ გამამდიდრე, გავცემ ძღვნად, მაშინ ვუწყი რომ შენთანა ვარ. მადლობა, მამაო საზიერო!

# 11 მარტი

დიდმარხვის III კვირადღე «ბ» [III] ი

# 2012 კვირა

გამ 20,1-17; ფს 18; I კორ 1,22-25; იოან 2,13-25
(ანდა, „ა" წლის საკითხავები)

## იესო ავიდა იერუსალემს იო 2,13

იესო ადის იერუსალემში, რათა აღნიშნოს თავისი პასექი, ჭეშმარიტი პასექი.
შენგან ვსწავლობთ, იესო: ,ჩვენი' პასექი არ იქნება ოდენ რაიმე ლოცვის წაკითხვა და წესის შესრულება, გულს რომ არ ეხება; ის, დიდმარხვის ძალისხმევის წყალობითაც, იქცევა შენთან უფრო დაახლოების, შეკავშირების ზეიმად, რათა ვიხაროთ და გავცეთ მამის სიყვარულის ცხოვრება.

# 12 მარტი

დიდმ. ყ. III კვირა [III] ი

2012 ოთხშაბათი

4მეფ 5,1-15; ფს 41-42; ლკ 4,24-30

## გააძევეს იგი ქალაქიდან ლკ 4,29

ეს ქალაქი ნაზარეთია, სადაც იესო გაიზარდა. უფალო იესო, მადლობას გიძღვნი: ჩემთვის და სხვებისთვის შენ უჩივლელად იტანჯე განდევნა, ვერგაგება, მარტოობა. თავმდაბლობით გთხოვ ნათელს, რათა შევძლო ამოგიცნო და მიგიღო: ვიცი, რომ შენ მოდიხარ და მესაუბრები ყოველდღიურად.

13 მარტი

დიდმ. ყ. III კვირა [III] ი

2012 სამშაბათი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

## ვალიც აპატია მთ 18,27

ის ბატონი არა მხოლოდ ისმენს მოვალე მსახურის ვედრებას, არამედ უფრო მეტსაც აკეთებს: არათუ აძლევს დროს ვალის დასაბრუნებლად, არამედ ყველაფერს პატიობს, ჩუქნის. ესაა დამხსნელი ,სამართლიანობაა‘, სიყვარულის გამომსყიდველი სამართლიანობა. მეც მსურს ვიყო ისეთი ,მართალი‘, როგორც მამა ჩემი!

# 14 მარტი

დიდმ. ყ. III კვირა [III] ი

# 2012 ოთხშაბათი

რჯლ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

## აღსასრულებლად მოვედი მთ 5,17

შენი შემყურე, იესო, შენი მიწიერი ცხოვრების არაჩვეულებრივი მაგალითით და შენთან ნათლისა და ძალების მდაბლად სათხოვნელად მოსვლით დარწმუნებული ვარ რომ ყოველთვის შევძლებ ვიყო მამის წინაშე შვილობრივი ნათლით მოსილი. იესო შენ სახარების აღმსრულებელი ხარ, შენ ხარ ის, რაც მამას ყოველთვის სურდა მოეცა ჩემთვის! მადლობა!

# 15 მარტი

დიდმ. ყ. III კვირა [III] ი

2012 ხუთშაბათი

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

## მუნჯი ალაპარაკდა ლკ 11,14

რამხელა ცვლილებაა ამ ადამიანის ცხოვრებაში, რომელ-საც ეხლა ლაპარაკი შეუძლია! მისთვისაც ალბათ ისევე, როგორც ზაქარიასთვის პირველი სიტყვები იყო ქებისა და სამადლობელო სიტყვები. ალბათ მეც მუნჯი ვარ, რადგან ხშირად არ შემიძლია მადლობის თქმა, არა ვარ მადლიერი არც უფლისა და არც ჩემს გვერდით მდგომისა...

იმისათვის, რომ ჩემი ცხოვრება განახლდეს, ახლა ჩემს ლოცვაში უპირატესობას ვანიჭებ სიტყვას „მადლობა“!

16 მარტი

დიდმ. ქ. III კვირა [III] ი

(3.III) წმ. იოანე IV (V) კათალიკოსი

2012 პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

# შორს არ დგახარ ღვთის სასუფევლისაგან

მარ 12,34

იესო ეუბნება ამ დამაიმედებელ სიტყვებს იმ მწიგნობარს, მას კითხვა რომ დაუსვა: ხედავს, რომ მან გაიგო თუ რა არის მამის ძირისეული ნება; მიმხვდარიყო, თუ რა იყო ყოველი ღვთიური მცნების მიზანი და რა უნდა იყოს საზაზი ყოველი რელიგიური წესის შესრულებისა და ქმედებისათვის: სიყვარული, სიყვარული, როგორც მადლიერების პასუხი ღვთისადმი და კონკრეტული ნაბიჯი მოყვასისადმი!

# 17 მარტი

დიდმ. ჟ. III კვირა [III] ი

მოხს.: წმ. პატრიციუსი, ეპ., †~461

2012 შაბათი

ოს. 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

## ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი ლკ18,13

შესაძლებლობა მაქვს ყოველდღე ჩემს ლოცვად ვაქციო მებაჟის ეს ლოცვა და, როცა უძლურებასა და ცოდვაში სასწრაფოდ მივალ იესოსთან და ვთხოვ გულმოწყალებას; მაშინ ვგრძნობ განახლებასა და ფეხზე ხელახლა დადგომის სიხარულს და იმის იმედიც კი მენთება, რომ მას ძალუძს სიკეთედ აქციოს ჩემი უბადრუკობაც კი. და როდესაც ეს ხდება მონანიების საიდუმლოში, მღვდელმსახურის სიტყვა ჩემს იმედს სიმტკიცეს მატებს.

გმადლობ, უფალო იესო!

# 18 მარტი

დიდმარხვის IV კვირადღე «ბ» [IV] ი

2012 კვირა

2ნეშტ 36,14-16.19-23; ფს 136; ეფ 2,4-10; ინ 3,14-21
(ანდა, „ა“ წლის საკითხავები)

## ვისაც სწამს იგი, არ განიკითხება ინ 3,18

უფალო იესო დღეს და მთელი ამ კვირის განმავლობაში გვსურს ვილოცოთ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არ ცნობენ, რომ მათ სჭირდები შენ: ვერ ხედავენ თავიათ ცოდვას და ვერც სასჯელს, მათზე რომაა. დაე, შეძლონ შენთან მოსვლა, შენი ხსნის მიღება, ჭეშმარიტი მშვიდობის შეცნობა!

# 19 მარტი

წმ. იოსები, ნეტ. ქალწ. მარიამის დამ-
წინდველი (დდ) [ს] თ

# 2012 ოთხშაბათი

4 მეფ 7, 4-5.12-14.16; ფს 88; რომ 4, 13.16-18.22;
მათ 1, 16.18-21.24;

არლის ეკლესიის დღესასწაული

## დაარქმევ მას სახელად იესოს მთ 1,21

გმადლობ იესო, შენი სახელისთვის; გმადლობ შენი სახელის გამოთქმის მადლისათვის, როგორც გულის სიღრმეში, ასევე სხვებთან.

გმადლობ შენ, რომელიც ღმერთი ხარ და ადამიანს აღაზრდევინე შენი თავი. გმადლობ წმინდა იოსებისათვის, რომელმაც მამობა გაგიწია. გმადლობ მამაჩემისთვის და ყველა მათთვის, ვინც გადმომცა შენი სიყვარული.

# 20 მარტი

დიდმ. ქ. IV კვირა [IV] ი

# 2012 სამშაბათი

ეზ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-3.5-16

## იესომ შეატყო, რომ უკვე დიდი ხანია სნეულია იო 5,6

იესო შენ ხედავ მთელ ჩემს სიღატაკეს. ხედავ, წლების განმვალობაში როგორ მივათრევ ზედაპირული რწმენის ცხოვრებას, ხედავ ჩემს ორგულობას, ჩემს მცირე მალისხმევას, ჩემს მერყევ სიყვარულს შენდამი.

გმადლობ, რომ კვლავაც მომაპყრობ შენს მზერას და მეკითხები: „გსურს განიკურნო?“. გმადლობ, რომ შენი სიყვარულის ძალით შემიძლია ახალი ნაბიჯების გადადგმა: და არა ხვალ, არამედ ეხლავე, მყისვე.

21 მარტი

დიდმ. ყ. IV კვირა [IV] ი

2012 ოთხშაბათი

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

## ღმერთს საკუთარ მამად იხსენიებდა იო 5,18

იუდეველთათვის ეს იყო იესოს ,ბრალი': ღმერთთან ესოდენ დაახლოება! ვერ გაეგოთ ან არ სურდათ გაგება იმისა, რომ იესო იყო მამასთან, როგორც მე, რათა პასუხი გაეცა მის სიყვარულზე და ეჩვენებინა ის, არა როგორც სატანას, რომელსაც სურდა ღმერთის ადგილის დაკავება საბატონებლად.

მამა გვეუბნება: „რომც არსებობდეს ქალი, საკუთარი შვილის დამვიწყებელი, მე არასოდეს დაგივიწყებ შენ". მას სურს, რომ ჩვენც მის გვერდით ვიყოთ, როგორც მისი შვილები: იესომ თქვა, რომ შეგვიძლია მას ვუწოდოთ მამა.

# 22 მარტი

დიდმ. ჟ. IV კვირა [IV] ი

2012 ხუთშაბათი

გამ. 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

## თქვენ კი არ გსურთ ჩემთან მოსვლა, რომ სიცოცხლე გქონდეთ იო 5,40

უფალო იესო, აი ის რაც გტანჯავს შენ: ჩვენთვის სიცოცხლის ვერ მოცემა! როცა სინათლის, სიყვარულის, მიტევების, სიხარულის ჩემს წყურვილში არ მოვდივარ შენთან ვარ დაუკმაყოფილებელი, უსიცოცხლო... და შენ იმის მოუთმენელ მოლოდინში, თუ როდის მოგმართავ სასოებით, ისევ იტანჯები. მაპატიე იესო!

# 23 მარტი

დიდმ. ქ. IV კვირა [IV] ი
მოხს.: წმ. ტურიბიუს მონგროვეხოელი, ეპ., †1606
(10.III) წმ. ღირსი იოანე ხახულელი

# 2012 პარასკევი

სიბრძ. 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

## ჩემით არ მოვსულვარ იო 7,28

რა სიხარულით აღიარებს იესო, რომ მოვიდა მამის სახელით! იგი ნამდვილად ძეა: ცხოვრობს მამისთვის, უშვებს, რომ თავის გრძნობებში, სიტყვებში, ჟესტებში გამოსჭვიოდეს და ხელშესახები ხდებოდეს მამის სიყვარული!

იესო, შენა ხარ მამის სიხარული ოდეს მას გვიცხადებ.

# 24 მარტი

დიდმ. ყ. IV კვირა [IV] ი

2012 შაბათი

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

## ხელი ვერავინ დააკარა იო 7,44

იესო, ეს სიტყვა მთელი დღის განმავლობაში იქნება ჩემთვის მშვიდობის წყარო! ჩემი ცხოვრება შენს ცხოვრებასთან შეერთებული, მამის ხელთაა: არაფერი შემემთხვევა თუ მან არ ისურვა და არ დაუშვა, ყოველივე კი, შენში და შენი წყალობით, მხოლოდ სიყვარული იქნება!

# 25 მარტი

დიდმარხვის V კვირადღე «ბ» [I] ი

## 2012 კვირა

იერ 31,31-34; ფს 50; ებრ 5,7-9; იო 12,20-33
(ანდა, ,,ა“ წლის საკითხავები)

## როცა ავმაღლდები მიწიდან, ყველას ჩემთან მივიზიდავ იო 12,32

იესო ამ პასუხს სცემს თავის მოწაფეებს, როცა უთხრეს მას, რომ ბერძნები, წარმართი ხალხი, ეძებდა მას. იესოს ესმის, რომ ახლოვდება მისი ,ჟამი', ჯვრის ჟამი: სწორედ მისი მსვერპლია მისისიყვარულის პასუხი ყოველი ადამინის ხსნის მოლოდინზე!

26 მარტი

უფლის ხარება (დდ), [ს] თ

2012 ოთხშაბათი

ეს 7,10-14; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

მამა ემანუელ ვარდიძის მოხსენიება († 1966)

## გიხაროდეს, მიმადლებულო ლკ 1,28

მარიამისადმი ანგელოზის მიერ ნათქვამ მისალმებაში ჟღერს მესიანური სიხარულისაკენ მოხმობა მრავალჯერ მიმართული ერისადმი წინასწარმეტყველთაგან: ყველაზე დიდი სიხარულის გამოცხადებაა, ერთადერთი ჭეშმარიტი სიხარულისა; რომელიც მამამ განუმზადა ყოველ ადამიანს! ეს სიხარული ხარ შენ, იესო, ჩვენს გვერდით, ჩვენში რომ იმყოფები, რათა შეგვიყვარო, დაგვიცვა, დაგვიხსნა.

გმადლობ, მარიამ, რომ სპეტაკი სიყვარულით და სუფთა რწმენით პირველმა მიიღე მამის ძღვენი!

# 27 მარტი

დიდმ. ქ. V კვირა [I] ი

2012 სამშაბათი

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

## მარტო არ დამტოვა იო 8,29

**საიდან ხვდებოდი, იესო, რომ მამა ყოველთვის შენთან იყო? შენ დარწმუნებული იყავი, რადგან გულით გრძნობდი მის სიყვარულს, და შენი ხელები, თვალები და ხმა ამ სიყვარულის იარაღი იყო!**

# 28 ႫႠႰႲႨ

დიდმ. ჟ. V კვირა [I] ი

## 2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

დან 3,14-20.46-50.91-92.95; დან 3,52-56; იო 8,31-42

## თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ იო 8,31

მრავალი წელია ვცდილობ გავყვე იესოს და ყოველ დღე უფრო და უფრო ვხვდები, რომ მისი მოწაფედ ყოფნა არ არის უცბად მიღებული გადაწყვეტილება, არც ერთხელ და სამუდამოდ მიღწეული მიზანია. ის უფრო განუწყვეტელი გადაწყვეტილებაა, ,დარჩენაა', ღღევანდელი, ამწუთის ერთგულებაა იესოსადმი.

# 29 მარტი

დიდმ. ჟ. V კვირა [I] ი

2012 ხუთშაბათი

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

## ჩემი განმადიდებელი მამაა ჩემი იო 8,54

შენგან ვისწავლი იესო: მამას მივანდობ ჩემს ცხოვრებაზე ზრუნვას და მისი ხელიდან ყველაფერს მივიღებ: სიხარულსა და ტკივილს, დამდაბლებასა და ქებას. მე მხოლოდ მასზე ვიზრუნებ, მისი სასუფეველზე, სიყვარულით!

# 30 მარტი

დიდმ. ჟ. V კვირა [I] ი

2012 პარასკევი

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

## ...რადგან ვთქვი: ღვთის ძე ვარ-მეთქი? იო 10,36

კიდევ მასწავლე, იესო, შენი შვილობრივი ცხოვრება: ცხოვრება, რომელიც მოდის წუთიდან წუთზე მამის გულიდან, სიცოცხლე, რომელიც მუდმივი თავის მიძღვნაა თავმდაბლობით! მაშინ, ღვთის ძის სახელი, რომელსაც ნათლისღებიდან ვატარებ, აღარ იქნება ამპარტავნების მიზეზი, როგორც ფარისევლებს ეგონათ იესოზე: ის იქნება მამის დიდება!

# 31 მარტი

დიდმ. ყ. V კვირა [I] ი

2012 შაბათი

ეზ 37,21-28; იერ 31,10-13; იო 11,45-56

## იესო უნდა მოკვდარიყო იო 11,51

იესო ,უნდა' მომკვდარიყო: ესე იგი, მამას სურდა, რომ იესო, უდიდესი სიყვარულის აქტად ქცეული თავისი სიკვდილით, გამხდარიყო ყოველი ადამიანის მაცხოვარი! იესო, წმიდა კვირისათვის სამზადისში თაყვანსა გცემ, მიყვარხარ, და მადლობას გწირავ! ვიცი რომ შენთან ახლოს ყოფნით მივიღებ შენ სულს, მეც ვისწავლი ყოველდღიურად, სიყვარულით მამისადმი ჩემი „სიკვდილის" შეწირვას!